

ეპტისა სერვისიოს დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	10
5. ამონაგები	10
6. გაყიდვების თვითღირებულება	10
7. შრომის ანაზღაურება	11
8. იჯარის ხარჯი	11
9. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯი	11
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
11. ფინანსური შემოსავალი.....	12
12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	12
13. ძირითადი საშუალებები.....	14
14. მარაგები	15
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
16. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები.....	16
17. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	16
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	17
19. პირობითი ვალდებულებები	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18
21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	18

ეპტისა სერვისიოს დე ინზენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	5,557,097	9,502,342
გაყიდვების თვითღირებულება	6	(4,394,149)	(8,581,511)
საერთო მოგება		1,162,948	920,831
შრომის ანაზღაურება	7	(701,548)	(814,444)
იჯარის ხარჯი	8	(168,461)	(211,167)
ცვეთის ხარჯი		(16,911)	(13,381)
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯი	9	(98,049)	(124,283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(240,504)	(362,622)
საოპერაციო მოგება		(62,525)	(605,066)
ფინანსური შემოსავალი	11	-	4,740
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		18,571	74,313
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	12	136,244	(99,963)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		92,290	(625,976)

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორის მინდობილი პირი _____


ნატალია პატიაშვილი

ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	5,557,097	9,502,342
გაყიდვების თვითღირებულება	6	(4,394,149)	(8,581,511)
საერთო მოგება		1,162,948	920,831
შრომის ანაზღაურება	7	(701,548)	(814,444)
იჯარის ხარჯი	8	(168,461)	(211,167)
ცვეთის ხარჯი		(16,911)	(13,381)
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯი	9	(98,049)	(124,283)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(240,504)	(362,622)
საოპერაციო მოგება		(62,525)	(605,066)
ფინანსური შემოსავალი	11	-	4,740
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		18,571	74,313
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი (ნეტი)	12	136,244	(99,963)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		92,290	(625,976)

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის
 მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორის მინდობილი პირი



ნატალია პატიაშვილი

ეპტისა სერვისიოს დე ინხენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	64,290	107,127
		64,290	107,127
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	4,740	3,731
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	698,042	711,769
საგადასახადო აქტივები	16	-	46,771
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	17	505,944	789,824
		1,208,726	1,552,095
სულ აქტივები		1,273,016	1,659,222
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სხვა რეზერვები		3,683,967	4,043,474
დაგროვილი ზარალი		(2,981,223)	(3,073,513)
		702,744	969,961
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	548,721	689,261
საგადასახადო ვალდებულებები	16	21,551	-
		570,272	689,261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,273,016	1,659,222

7 - 25 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ეპტისა სერვისიოს დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	4,314,171	(2,447,537)	1,866,634
სხვა რეზერვების ცვლილება	(270,697)	-	(270,697)
წლის სრული შემოსავალი	-	(625,976)	(625,976)
2019 წლის 31 დეკემბერი	4,043,474	(3,073,513)	969,961
სხვა რეზერვების ცვლილება	(359,507)	-	(359,507)
წლის სრული შემოსავალი	-	92,290	92,290
2020 წლის 31 დეკემბერი	3,683,967	(2,981,223)	702,744

ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

„ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი“ (შემდეგში „კომპანია“) უცხოური საწარმოს ფილიალია, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2011 წლის 8 სექტემბერს, არქიტექტურული საქმიანობების ზედამხედველობის გაწევის მიზნით.

კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404909943. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ. N 75.

კომპანია მონაწილეობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ეწევა საკონსულტაციო - საზედამხედველო საქმიანობას.

2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიას ყავდა ერთი მფლობელი, რომელიც ასევე არის დამფუძნებელი - შპს ეპტისა სერვისის დე ინჟინერია, ესპანეთი (B85097962).

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შპს ეპტისა სერვისის დე ინჟინერია, ესპანეთი (B85097962)	100.00%	100.00%
	100.00%	100.00%

კომპანიის დირექტორია ხოსე იგნასიო სორიანო არტაჩო (ესპანეთი, A3350535100, AAB356217).

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 14 და 17, შესაბამისად.

კომპანიის საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველოს სხვადასხვა რეგიონები: აჭარა, სამეგრელო, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა ლეჩხუმი, შიდა ქართლი, კახეთი და სხვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ასევე შესადარისი მონაცემები მოცემულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) მოთხოვნების შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად წინასწარი ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. თუმცა კომპანიამ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რათა რისკი არ შეექმნას მის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, გარკვეულ ფაქტორებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე. ასევე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები მოიცავს მომავალ დაშვებებს, შესაბამისა, მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

დაბეგვრა - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიამ 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცვალა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.

	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფი -კაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
საოპერაციო მოგება			
სხვა შემოსავალი	23,112	(23,112)	-
ცვეთის ხარჯი	-	(13,381)	(13,381)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(373,108)	10,486	(362,622)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(125,970)	125,970	-
ფინანსური მოგება			
სხვა არასაოპერაციო	-	(99,963)	(99,963)
შემოსავალი/ხარჯი (ნეტი)			
	(475,966)	-	(475,966)

5. ამონაგები

2020 და 2019 წლის ამონაგები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საინჟინრო პროექტების ზედამხედველობა	5,357,374	7,886,026
პროექტების დიზაინის მომზადება	199,723	476,447
საინჟინრო პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა	-	1,139,869
	5,557,097	9,502,342

საზედამხედველო პროექტებზე შემოსავალი აღიარდება ყოველთვიურად, ნამუშევარი საათების მიხედვით. დიზაინის დაპროექტების შემთხვევაში კი შემოსავალი აღიარდება კონტრაქტით დადგენილი გრაფიკის მიხედვით. კონტრაქტის ფასი და მოგების მარჟა დამოკიდებულია კლიენტთან შეთანხმებულ პირობებზე. მოგების მარჟა ძირითადად მერყეობს 18-22%-ის ფარგლებში.

6. გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მომსახურე პერსონალის ანაზღაურება	(3,286,062)	(6,077,221)
პროექტთან დაკავშირებული ხარჯი	(1,023,050)	(2,264,839)
საცხოვრებელი და სხვა ხარჯი	(85,037)	(239,451)
	(4,394,149)	(8,581,511)

ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

7. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასები	(670,657)	(776,842)
ბონუსები და სხვა სარგებელი	(30,891)	(37,602)
	(701,548)	(814,444)

8. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი მოიცავს საოფისე იჯარას - თბილისის და ქუთაისის ოფისებისათვის სხვადასხვა კონტრაგენტისგან. ორივე იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში. 2020 და 2019 წლებში ჯამურად იჯარის ხარჯმა შეადგინა შესაბამისად 168,461 და 211,167 ლარი.

9. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯი

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ტრანსპორტირების ხარჯი	(72,855)	(86,961)
ცვეთა და ამორტიზაცია	(25,194)	(33,358)
მარკეტინგული ხარჯი	-	(3,000)
სხვა	-	(964)
	(98,049)	(124,283)

ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(79,425)	(89,281)
დაზღვევის ხარჯი	(42,114)	(49,303)
საკომუნიკაციო ხარჯი	(25,075)	(35,444)
საკანცელარიო ხარჯი	(21,140)	(49,375)
საპენსიო შენატანის ხარჯი	(13,472)	(14,823)
კომუნალური ხარჯი	(11,948)	(15,515)
უსაფრთხოების ხარჯი	(9,916)	(18,305)
სატრანსპორტო ხარჯი	(7,312)	(4,863)
საოფისე ხარჯი	(6,410)	(9,729)
საბანკო ხარჯი	(6,249)	(9,421)
საგადასახადო ხარჯი	(4,154)	(38,392)
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	(1,841)	(6,680)
სამივლინებო ხარჯი	-	(5,824)
საექვო დავალიანებების ანარიცხების ხარჯი	-	(5,688)
სხვა ხარჯი	(11,448)	(9,979)
	(240,504)	(362,622)

11. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავლები შედგება გაცემულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან. სესხი გაცემული იყო 2018 წლის ივნისის თვეში 8 თვის ვადით 11.5% საპროცენტო განაკვეთით. საპროცენტო შემოსავლებმა 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 4,740 ლარი. 2020 წელს კომპანიას არ მიუღია საპროცენტო შემოსავალი.

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
არასაოპერაციო შემოსავალი		
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	82,465	11,319
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	9,698	-
კოვიდ 19 ით განპირობებული საშემოსავლო	3,090	-
გადასახადის სუბსიდია	-	-
საპენსიო ფონდიდან დაბრუნებული თანხები	-	1,599
სხვა	41,722	7,793
	136,975	20,711
არასაოპერაციო ხარჯი		
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	(731)	(120,674)
	(731)	(120,674)
	136,244	(99,963)

12. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა (გაგრძელება)

COVID-19-ის გავრცელების გამო შექმნილი კრიზისის უარყოფითი შედეგების შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საშემოსავლო გადასახადის სუბსიდირების შესახებ. კომპანიამ მიიღო შეღავათი შემდეგი პრინციპით: დასაქმებულებისთვის, რომელთა დარიცხული ხელფასიც არ აღემატება 750 ლარს, საშემოსავლო გადასახადი სრულად, ხოლო 750-დან 1500 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადი 150 ლარის ოდენობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აღნიშნული სუბსიდიის ფარგლებში არ აქვს შეუსრულებელი ვალდებულებები, შესაბამისად სუბსიდიის თანხა სრულად აღიარდა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ეპტისა სერვისიოს დე ინხენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

13. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	96,890	17,516	330,086	3,463	447,955
შემოსვლა	191	-	36,980	-	37,171
გასვლა	-	-	(226,100)	-	(226,100)
2019 წლის 31 დეკემბერი	97,081	17,516	140,966	3,463	259,026
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(15,795)	-	(15,795)
2020 წლის 31 დეკემბერი	97,081	17,516	125,171	3,463	243,231
დაგროვილი ცვეთა					
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(50,587)	(9,762)	(148,703)	(1,534)	(210,586)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(11,479)	(1,901)	(32,899)	(459)	(46,738)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	105,425	-	105,425
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	(62,066)	(11,663)	(76,177)	(1,993)	(151,899)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(10,863)	(1,907)	(28,876)	(460)	(42,106)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	15,064	-	15,064
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	(72,929)	(13,570)	(89,989)	(2,453)	(178,941)
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	35,015	5,853	64,789	1,470	107,127
2020 წლის 31 დეკემბერი	24,152	3,946	35,182	1,010	64,290

ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

14. მარაგები

კომპანიაში მარაგები წარმოდგენილია საწვავის სახით, კერძოდ ბენზინის და დიზელის სახით. ისინი აღიცხება საშუალო შეწონილი მეთოდით. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწვავის მოცულობამ თანხობრივად შეადგინა შესაბამისად 4,740 და 3,731 ლარი.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	632,590	779,561
გაცემული სესხი	255,000	255,000
დარიცხული მისაღები პროცენტი	20,246	20,246
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	400
გაუფასურების რეზერვი	(317,252)	(399,716)
	590,584	655,491
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	107,458	56,278
	107,458	56,278
	698,042	711,769

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	508,120	0%	-
ვადაგადაცილება 0-30	-	0%	-
ვადაგადაცილება 31-60	-	0%	-
ვადაგადაცილება 61-90	-	0%	-
ვადაგადაცილება 90 >	399,716	79%	(317,252)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	907,836		(317,252)
გაუფასურების რეზერვი	(317,252)		
წმინდა მოთხოვნები	590,584		

ეპტისა სერვისის დე ინჰენიერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

15. საგაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	655,491	0%	-
ვადაგადაცილება 0-30	-	0%	-
ვადაგადაცილება 31-60	-	0%	-
ვადაგადაცილება 61-90	-	0%	-
ვადაგადაცილება 90 >	399,716	100%	(399,716)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	1,055,207		(399,716)
გაუფასურების რეზერვი	(399,716)		
წმინდა მოთხოვნები	655,491		

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	(399,716)	(411,035)
ზრდა	-	(5,688)
შემცირება	82,464	17,007
31 დეკემბერი	(317,252)	(399,716)

16. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 21,551 ლარი (ვალდებულება) და 46,771 ლარი (აქტივი).

17. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში, ეროვნულ ვალუტაში	1,634	1,426
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	275,492	340,993
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	228,818	447,405
	505,944	789,824

ეპტისა სერვისის დე ინჟინერია ეს.ელ.-ის ფილიალი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	548,296	657,327
სხვა ვალდებულებები	425	-
	548,721	657,327
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	31,934
	-	31,934
	548,721	689,261

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლიდან ნაწილობრივ შემსუბუქდა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და შედარებით გააქტიურდა ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა კომპანიის წინაშე ბაზრის მნიშვნელოვანი გაურკვევლობა კვლავ ძალაშია COVID-19-ის გავლენის გამო. პერიოდის ბოლოსთვის, გაურკვეველია რა იქნება საქართველოს ეკონომიკის აღდგენის ტემპი მკაცრი იზოლაციის დასრულების შემდეგ. თუ მკაცრი შეზღუდვები კვლავ დაწესდება, ამას ნეგატიური ეფექტი ექნება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა მისი სამომავლო ეფექტის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება COVID-19-ით გამოწვეულ ვითარებას საქართველოში და ახდენს სამოქმედო გეგმის შემუშავებას სიტუაციის შესაბამისად.

რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, 2021 წელს შეიცვალა დირექტორის მინდობილი პირი და ანტონიო ალფერეზის ადგილი დაიკავა ნატალია პატიაშვილმა.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრისის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ამონაგები

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები აღიარდება მომსახურების დასრულებისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (საანგარიშო პერიოდად ამ შემთხვევაში განიხილება თვე). სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, ხდება სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შეფასება. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადაიხედება და, თუ აუცილებელია, იცვლება ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებები, მომსახურების გაწევის ოპერაციების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომპანიის მიერ გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები);

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდი ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არარეზიდენტ

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

დივიდენდების განაწილების გარდა საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. კერძოდ:

- შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და აუნაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია,

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარის პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები

სატრანსპორტო საშუალებები

საოფისე აღჭურვილობა

ავეჯი და მოწყობილობა

სხვა

სასარგებლო მომსახურების ვადები

5-8 წელი

5-10 წელი

6-8 წელი

3-8 წელი

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და ხდება მისი შეფასება თვითღირებულების მოდელით, რომელიც გულისხმობს გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად, იმ შემთხვევაში თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის ბალანსზე არსებული მარაგები წარმოდგენილია საწვავის სახით, რომელიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის სხვაობა აღიარებულ აქტივებსა და აღიარებულ ვალდებულებებს შორის. წარმოდგენილ ანგარიშგებაში კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება სხვა რეზერვებისა და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისგან. რეზერვები მოიცავს დამფუძნებელი კომპანიისგან მიღებულ დაფინანსებას და მის ცვლილებებს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.